

უცხოთ თვალთ დანახული ქართული სტუმარმასპინძლობა  
(მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მაგალითზე)

ვენერა პაპიტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*პროგრამა: სოციოლოგია*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვენერა პაპიტაშვილი: \_\_\_\_\_

თარიღი: 27.01.2018 \_\_\_\_\_

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში განხილულია ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიცია საქართველოში მცხოვრები მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მაგალითზე. სტუმართმოყვარეობის ცნება განიხილება ქართული საზოგადოების ფუნქციურ ნაწილად და მას დიდი გავლენა აქვს იმ ყოველდღიურობაზე, რომლის ნაწილიც არიან მოხალისეები. ნაშრომში გაანალიზებულია სტუმრის მნიშვნელობა ქართულ საზოგადოებაში, მისი როლი და მასპინძელი საზოგადოების მოლოდინები მათ მიმართ, ასევე კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხები იყო მოხალისეების საქართველოში ცხოვრების პერიოდში მასპინძელ საზოგადოებასთან ინტერაქცია, სტუმრის როლის მორგების სირთულეები და პრობლემატიკა. წინამდებარე კვლევაში წარმოჩენილია მშვიდობის კორპუსის მოხალისეებისათვის ჩატარებული ტრენინგების ანალიზი. რა სტარატეგიების გამოყენება დაჭირდათ სტუმრებს, იმისათვის, რომ გამხდარიყვნენ საზოგადოების ნაწილი. ნაშრომი ასევე აჯამებს თუ რა როლები მოირგეს მოხალისეებმა, როგორც სტუმრებმა და ქართულმა საზოგადოებამ, როგორც მასპინძლებმა.

ზემოთ აღნიშნული საკითხები განხილულია სიღრმისეული ინტერვიუების, კონტენტ ანალიზისა და ჩართული დაკვირვების მეთოდით.

**ძირითადი ტერმინები:** სტუმართმოყვარეობა, სტუმარმასპინძლობა, ტრადიცია, მშვიდობის კორპუსი, მოხალისე, მასპინძელი, სტუმარი, კულტურული ნორმები, როლები, თვითპრეზენტაცია.

## **Abstract**

The study is about Georgian hospitality on the example of Peace Corps volunteers residing in Georgia. Hospitality is a crucial part of Georgian society and it has a great impact on everyday life of volunteers. The Study analyzes importance of the guest in Georgian society, their role and the expectations that the host society is setting for them. The study also covers the volunteers' social interactions with host society and difficulties of being a guest while living in Georgia. The study analyzes the training that Peace Corps volunteers had. What sort of strategies did the guests use to become a part of society. Paper summarizes the roles of the Volunteers as guests and Georgian society as a host.

For discussion of above mentioned topics was used qualitative research methods, such as participant observation, in-depth interviews and content analysis.

**Key words:** Hospitality, tradition, Peace Corps, volunteer, guest, host, culture norms, roles, self-presentation.

## მადლობა

ქეთევან გურჩიანს ხელმძღვანელობისათვის, მოწოდებული მასალებისთვისა და გაწეული დახმარებისათვის;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოყოფილი სამუშაო სივრცისა და აკადემიური მასალების ხელმისაწვდომობისათვის;

მშვიდობის კორპუსსა და მის მოხალისეებს დახმარებისა და გულწრფელობისათვის ინტერვიუების პროცესში;

განსაკუთრებული მადლობა ჯოზეფ გრინს.